სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 77

2017 წლის 21 ივნისი

ქ. თბილისი

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N86 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 31 მარტის N22 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-11 ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მტავარი სპეციალისტის დავით ჩიჩუას სამსახურებრივი ბარათის (N702499; 21.06.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

დამტკიცებულია

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 21 ივნისის №77 ბრძანებით

პროექტის შიფრი	პროექტის სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია	შეუსაბამობა კონკურსის პირობებთან
stcu-2017-12	გულის დაავადებული მიკროსისხლძარღვები ანტრაციკლინით გამოწვეულ კარდიომიოპათიაში: პათოგენეზი, ადრეული ბიომარკერები და პრევენციული თერაპია	საქართველოს ჰეპატო-პანკრეატო-ბილიარული და ტრანსპლანტაციის ქირურგთა ასოციაცია	ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტი	დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N86 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი
stcu-2017-38	სელენის ეფექტურობის, მეორე ფაზის, რანდომული, პლაცებო-კონტროლირებადი, ორმაგი ბრმა კვლევა მოუსვენარი ფეხების სინდრომის მქონე ზრდასრულ პაციენტებში	საქართველოს ძილის კვლევისა და ძილის მედიცინის კავშირი	შპს ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი	დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N86 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი
stcu-2017-76	M.tuberculosis რეზისტენტობის მოლეკულური დახასიათება მულტირეზისტენტული და ექსტენსიურ-რეზისტენტული შტამების სექვენსების ანალიზის გამოყენებით საქართველოში	სსიპ ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	-	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად დადგენილ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით მოთხოვნილი დოკუმენტები
stcu-2017-85	ანტიბიოტიკების ალტერნატიული ბიოპრეპარატები-ბაქტერიოფაგები-მეთიცილინ-რეზისტენტული ოქროსფერი სტაფილოკოკით (MRSA) გამოწვეული ინფექციების მკურნალობისა და პრევენციისათვის.	კავშირი „ბიოქიმფარმი“		საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად დადგენილ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით მოთხოვნილი დოკუმენტები